# სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის #1 საჯარო სკოლა

# „პატარა პრინცის სამყაროში“

პროექტის ანგარიში

2024-2025წ

ავტორები: თამარ წურწუმია
ლელა ცარციძე

პროექტის იდეის ინსპირაციად შეგვიძლია ჩავთვალოთ სკოლის კედელზე მოხატული სცენა ანტუან სანტ დე ეგზიუპერის“პატარა პრინციდან” ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში ვკითხულობთ, რომ სკოლამ უნდა შეძლოს:

ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის შემცნობი, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისმცემელი მოქალაქის აღზრდა;

ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარითა და სისტემური აკადემიური ცოდნით აღჭურვილი წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმღები მოქალაქის აღზრდა, რომელიც არა მხოლოდ იცნობს და აღიარებს სხვათა მიღწევებს, არამედ თავადაც ქმნის ახალ ინტელექტუალურ, სულიერ თუ მატერიალურ ღირებულებებს საზოგადოების საკეთილდღეოდ;

აღნიშნული მიზნების მიღწევა სასკოლო საფეხურზე ნიშნავს, რომ მომავალი თაობა აღჭურვილი იქნება ისეთი უნარ-ჩვევებითა და საჭირო ცოდნით, რომელიც დაეხმარება იყოს როგორც ეროვნული, ასევე გლობალური მოქალაქე და ჰქონდეს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი.

მიზნების მისაღწევად კი აუცილებელია დავგეგმოთ და განვახორციელოთ სხვადასხვა აქტივობა, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გამოამჟღავნონ და განავითარონ საკუთარი შემოქმედებითი უნარები და მოხდეს მათი დამოკიდებულებების ფორმირება. სამოქალქო განათლებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნების ინტეგრირებით შესაძლებელია მოსწავლეებს ხელი შევუწყოთ ამ მიზნის მიღწევაში. მოსწავლეებს უჭირთ საგანთშორისი კავშირების დამყარება, ამიტომ ერთი წიგნის შესწავლა ორი განსხვავებული საგნის ჭრილში განსაკუთრებულ შესაძლებლობებს მისცემთ.

პროექტის იდეა იძლევა სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და ტექნოლოგიების საგნის ინტეგრირების საშუალებას.

პროექრი „პატარა პრინცის სამყაროში მიზნად ისახავდა მოსწავლეებს თავი ეგრძნონ ზოგადსაკაცობრიო კულტურის ნაწილად და შემოქმედ პიროვნებად შეეძლოთ ტოლერანტული ქცევის დანახვა, ამოცნობა და გამოვლენა. მოსწავლეებს გაეანალიზებინათ, დაეფასებინათ და ეღიარებინათ სხვადასხვა მწერლისა თუ შემოქმედის მიღწევები. ამავდროულად თავადაც გამხდარიყვნენ შემოქმედი ადამიანები. შეძლებოდათ და ამოეცნოთ ლიტერატურის დაფარული სათქმელი. გაეანალიზებინათ ხელოვნების სხვადასხვა დარგში როგორ გარდაიქმნება ეს სათქმელი და ემსჯელათ გამოხატვის ფორმებზე.

პროექტის გეგმაშივე იყო გაწერილი სხვადასხვა კათედრისა და საგნის მასწავლებლების ტანამშრომლობა, იმისათვის რომ მოსწავლეებს შეძლებოდათ საგანთშორისი კავშირების დანახვა. პროექტის მსვლელობისას საგნების მიხედვით დამუშავდა:

მოქალაქეობა:

**მოქ.საბ.1.** საკუთარი შეხედულებების, ქცევების შეფასება და კორექტირება, ემოციების მართვა (თვითრეფლექსია);

**მოქ.საბ.2.** საკუთარი თავის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მაგალითად, სასკოლო თემის) წევრად აღქმა;

**მოქ.საბ.4.** დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება.

**მოქ.საბ.5.** მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვა; იდეების ჩამოყალიბება, ინიციატივის გამოვლენა და მისი განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა;

**მოქ.საბ.6.** მომავალი პროფესიის შერჩევისთვის საკუთარი შესაძლებლობების, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გააზრება;

**მოქ.საბ.9.** საზოგადოებისა და ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; კონფლიქტების არაძალადობრივი გზებით მოგვარება;

**ქართული:**

**ქართ.საბ.1**–ტექსტში მოცემული ფაქტობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციის ამოცნობა-გააზრება;

**ქართ.საბ.2**–ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა;

**ქართ.საბ.3**–ტექსტის ჟანრობრივი და კომპოზიციური ელემენტების გააზრება მთლიანი ტექსტის ფარგლებში;

**ქართ.საბ.4**–ტექსტის კრიტიკული გააზრება კონტექსტური ფაქტორების გათვალისწინებით.

**ქართ.საბ.7**–საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა–დასაბუთება;

**ქართ.საბ.8**–სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შედგენა–გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).

**მუსიკა**

**მუს.საბ.1.** სხვადასხვა რიტმული, ინტონაციური ფორმულებისა და სხვა მუსიკალური ელემენტების გამოყენება იმპროვიზაციის დროს;

**მუს.საბ.4** ნაწარმოების მოსმენისას მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მხატვრული სახის შექმნაში მათი როლის განსაზღვრა;

ხელოვნება

**ს.გ.საბ.2.** ნამუშევრის შექმნისას თავად დასახოს და გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა, მიზნის შესაბამისად შეარჩიოს მხატვრულ–გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები, მასალა, ტექნიკა, მხატვრული სტილი.

ისტი

**ის ტექნ. VI.1.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ციფრული მასალის შექმნისას.

პროექტის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მე-8(ა) კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები. მასწავლებლები: იამზე ბერაია, ვალენტინა აბხაზავა , ირინა კაკაჩია, გურგენ ცანავა

პროექტის გეგმით განსაზღვრული მიზნები შესრულდა ნაბიჯ-ნაბიჯ რამაც ხელი შეუწყო განხორციელებულმა აქტივობებმა.
 დასაწყისში მოსწავლეებს გავაცანით საპროექტო იდეა შევარჩიეთ მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები ვინც დაგვეხმარებოდა პროექტის განხორციელებაში.სწრაფი კომუნიკაციისატვის შეიქმნა მესენჯერის ჩატი. ავიეთ მშობლებისაგან ნებართვა ფოტო-ვიდეო მასალის გადარება-განთავსებაზე სოციალურ ქსელებში.




იხ დანართი 1 (მშობელთა თანხმობის ნიმუში)

შემდეგ ეტაპზე უშუალოდ წიგნი დამუშავდა, წაიკითხეს ინდივიდუალურად მოსწავლეებმა და ერთობლივად განვიხილეთ სხვადასხვა ეპიზოდი. მუშაობის პროცესში ვნახეთ რამდენიმე ვიდეო და შემდეგ ვვქონდა ლიტერტატურული საუბრები https://youtu.be/aG0xMKrdGic?si=CxerCy-Qjus8Y-4E

https://youtu.be/xs89JYEynqo?si=dAwkJ7wMnmy2m91z

https://youtu.be/qHlWHiAvUD0?si=bxBbQn94lYtF7vdS

https://youtu.be/eqrnD2b_Nkg?si=3micG_cw7uGSXyAa

მაშინ როდესაც დავრწმუნდით, რომ მოსწავლლებმა კარგად დაამუშავეს ტქასტი დაიწყეს რეჟისორისათვის კითხვების მომზადება

დანართი 2

მოსწავლლები დაესწრნენ სპექტაკლს და შემდეგ გაიმართა შეხვედრა რეჟისორთან

https://www.facebook.com/share/p/158yAg8BHy/

https://drive.google.com/drive/folders/1mZl4vnu8NC6hJj22XuPTt3Bse2Ih5djZ?usp=sharing

ბავშვებზე წარუშლელი სთაბეჭდილება დატოვა მათი თანატოლების მიერ შესრულებულმა წარმოდგენამ. ამაში დავრწმუნდით მათ მიერ დაწერილი რეფლესქიების საფუძველზე

დანართი 3

შეიქმნა სცენარი, რომლის მიხედვითაც შემდეგ მომდინატეობდა რეპეტიციები. რეპეტიიციისათვის წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი არ გვქონია. მოსწავლეები როლების სესაბამისად და მატი გრაფიკის დათვალისწინებით რჩებოდნენ სკოლაში. საბოლოოდ კი ორშაბათობით და სამშაბათ დღეს ჩატარდა გენერალური რეპეტიციები

დანართი 4 პატარა უფლისწული.docx

მოსწავლეებმა შეარჩიეს მუსიკა სპექტაკლისათვის და დაამზადეს აფიშები და მოსაწვეწვები. რომელთაგანაც საბოლოოდ შეირჩა საუკეთესო ნამუსევარი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, ყველა მოსწავლე არ იყო მზადების პროცესში ჩართული, თუმცა ყველამ მიიღი შერჩევაში მონაწილეობა






https://drive.google.com/file/d/1m95PfpqiAEKVbDWmWZgZw-DgNj7MnnQX/view?usp=sharing

მუსიკა

სასცენო დეკორაციების მომზადების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული მშობლები, რაც სეგვიძლია ამ პროექტის ერთ-ერთ მიღწევად ჩავთვალოთ, რადგან გაძლიერდა მშობელთა ჩართულობის ინსტიტუტი სკოლის ბაზაზე. უშუალოდ მათი ხელით დამზადდა და სეირჩა რამდენიმე დეკორაცია და სასცენო კოსტიუმი.აღსანიშნავია ისიც, რომ აბსოლუტურად ყველა მშობელი დაესწრო სპექტაკლს. სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებშიც დიდი ინტერესი გამოიწვია ამიტომ პრემიერის სემდეგ კიდევ 4 ჩვენება გამართეს ბავშვებმა, რათა ყველა დაინტერესებული პირისატვის ეცვენებინათ საკუთარი შემოქმედება. სწორედ ამ დიდი მოთხოვნის სემდეგ გაჩნდა იდეა, სპექტაკლი გაგვეტანა "გასტროლზე". დაიგეგმა ახლო მდებარე სკოლაში მისი ჩვენების გამართვა მომდევნო სემესტრში.

დანართი 5

საბოლოოდ პროექტის შეჯამების მიზნით ჩატარდა ინტეგრირებიული ღია გაკვეთილი მოქალაქობასა და ქართულში. სადაც ხაზი გაესვა საგნობრივ მკვიდრ წარმოდგენებს და დაფიქრდნენ რა ისწავლეს ამ ორი საგნის მიმართებასი. ასევე დაამყარეს კავშირები სხვა საგნებიდან მიღებულ ცოდნასტან. ისაუბრეს გამოცდილებაზე, რაც ამ პროექტით მიიღეს და გააკეთეს ზეპირი რეფლექსია პროექტის. ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე და შემდგომ აქტივობებზე.

https://www.facebook.com/share/p/1EYxdVjxkc/

პროექტის მსვლელობისას დამოიკვეთა რამდენიმე სირთულე, თუმცა შევძელით მათი მოგვარება. ამ პრობლემებიდან უნდა გამოვყოთ მხატვრული კითხვის უნარი, რომელიც კომპლექსების სახით ჰქონდათ მოსწავლეებს. ცდილობდნენ სწრაფად ეთქვათ ტექსტი და არ ამყარებდნენ მხედველობით კონტაქტს აუდიტორიასთან. გენერალური რეპეტიციების შემდეგ ეს პრობლემა მოიხსანა. პრემიერის შემდეგ კი იდენად დიდი ემოციური ფონი იყო მოსწავლეებსი, თავად გამოტქვეს სურვილი უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე წარმდგარიყვნენ. შესრულების ხარისხიც შესამჩნევად გაუმჯობესდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რამდენიმე მოსწავლ;ეს ლოგოების და აფისების დამზადების პროცესში არ მიუღია მონაწილეობა. მათივე თქმით ეს მათთვის არ იყო საინტერესო,იცოდნენ ამ პროგრამაში მუშაობა. მართალია კომპიუტერული ტექნოლოგიები საბაზო საფეხურზე აღარ ისწავლება, თუმცა დაწყებითი საფეხურის დასრულების შემდეგ მათ აქვთ გარკვეული უნარ-ჩვევები და ისტის მასწავლებელი დაგვეხმარა პროგრამულ უზრუნველყოფაში. სამომავლოდ ვეცდებით ისეთი პროგრამა ავარჩიოთ რომელში მუშაობაც ჯერ არ იციან და ახლის სწავლით გავზარდოთ მათი ინტერესი.

პროექტის ბიუჯეტი შეადგენდა 150 ლარს. რაც დავფარეთ პირადი ბიუჯეტით. როდესაც სპექტაკლის რეჟისორს, ბ-ნ ნიკო კაჭარავას, გავააგებინეთ ჩვენი პროექტის შესახებ, მან უფასოდ მიგვიწვია და განმეორებითი ჩვენება მოაწყო ჩვენი ბავშვებისათვის. ამან დიდი შეღავათი მოგვცა ფინანსური კუთხით.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთავქთ, რომ პროექტის დასრულების შემდეგ
მოსწავლები თავს გრძნობენ ზოგადსაკაცობრიო კულტურის ნაწილად და შემოქმედ პიროვნენებად.

- შეუძლიათ ტოლერანტული ქცევის დანახვა და თავადაც ავლენენ მსგავს ქცევას;
- მოსწავლეები აფასებენ და და აღიარებენ სხვადასხვა მწერლისა თუ შემოქმედის მიღწევებს;
- შეუძლიათ ამოიცნონ ლიტერატურის დაფარული სათქმელი.
- შეუძლიათ დისკუსია და ანალიზი ხელოვნების სხვადასხვა დარგში როგორ გარდაიქმნება ესა თუ ის სათქმელი და მსჯელობენ გამოხატვის ფორმებზე.
- შეუძლიათ შექმნან ციფრული პროდუქტი და გამოიყენონ მიზნის შესაბამისად.

წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ვფიქრობთ, პროექტის გეგმით განსახორციებელი აქტივობები შესრულდა, რამაც ხელი შეუწყო პროექტის მიზნის შესრულებას. ამიტომ შეგვიძლია დადებითად შევაფასოთ ეს პროექტი.